ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №1397884

ნომერი: AR1238539

თარიღი : 19.07.2014

გაცემის თარიღი : 25.07.2014

გაცნობის თარიღი : 07.10.2014

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა ბოროდინოს , N 22/9 ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ნინო ფარცხალაძე პ/ნ 01030005382
- ოთარ ლორთქიფანიძის 20

ნომენკლატურა :

- სასტუმრო
- III კლასი
- ვადაგაუსვლელი
- მშენებლობის ნებართვა

.სატიტულო ინფორმაცია.:

- .ფუნქციური დანიშნულების სახეობა.: სასტუმრო
- .მთავარი არქიტექტორის/სპეციალისტი სახელი და გვარი.: რევაზ ტყემალაძე
- .ორგანიზაცია (არსებობის შემთხვევაში).: ი/მ "ნინო ფარცხალაძე-გრიდი"
- .საიდენტიფიკაციო კოდი.: 01030005382

.დამკვეთის ინფორმაცია.:

- .ორგანიზაცია (არსებობის შემთხვევაში).: შპს ,,კინგი"
- .საიდენტიფიკაციო კოდი.: 406090803
- .დამკვეთ(ებ)ის სახელი და გვარი.: თამარ კაცობაშვილი

- .დამკვეთ(ებ)ის პირადი ნომერი.: 01008016805

.მშენებლობის ნებართვის რეკვიზიტები.:

- .მშენებლობის ნებართვის ბრძანების ნომერი. : 703096; ნ/632-1
- .მშენებლობის ნებართვის ბრძანების თარიღი. : 15.03.2012

ქ. თბილისის მერიის სსიპ ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურის პროექტის შეთანხმებისა და მშენებლობის ნებართვის გაცემის შესახებ 2012 წლის 15 მარტის N01/622 ბრძანებასა და N6/632-1 მშენებლობის სანებართვო მოწმობაში მშენებლობის დასრულების თარიღში ცვლილების შეტანის შესახებ

ქ. თბილისის მერიის სსიპ ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურის მიერ 2012 წლის 15 მარტს N01/622 ბრძანებით შეთანხმდა ქ. თბილისში, ძველი თბილისის რაიონში (სექტორი - ისანი), ბოროდინოს ქ. N22/9–ში, მოქ. თამარ კაცობაშვილის კუთვნილ მიწის ნაკვეთზე, სასტუმროს არქიტექტურული პროექტი და გაიცა მშენებლობის ნებართვა და N6/632-1 მშენებლობის სანებართვო მოწმობა, რომელიც ძალაში იყო 2013 წლის 22 მაისის ჩათვლით.

2013 წლის 22 მაისის N AR1133519 განაცხადის საფუძველზე (განმცხადებელი მოქ. ნ. ფარცხალაძე) სამსახურის 29.05.13წ. №703096 ბრძანებით, 2012 წლის 15 მარტის N01/622 ბრძანებასა და N6/632-1 მშენებლობის სანებართვო მოწმობაში მშენებლობის დასრულების თარიღში შევიდა ცვლილება, კერძოდ: "ძალაშია 2013 წლის 22 მაისის ჩათვლით", შეიცვალა "ნებართვა ძალაშია 2014 წლის 22 ივლისის ჩათვლით".

2014 წლის 19 ივლისს N AR1238539 განცხადებით მოგვმართა მოქ. ნ. ფარცხალაძემ, რომელიც ითხოვს მშენებლობის ნებართვის ვადის გაგრძელების მიზნით 2012 წლის 15 მარტის N01/622 ბრძანებასა და N6/632-1 მშენებლობის სანებართვო მოწმობაში მშენებლობის დასრულების თარიღში ცვლილებების განხორციელებას.

სამსახურმა განცხადების განხილვის შედეგად გადაწყვიტა, რომ მოთხოვნა საფუძვლიანია და უნდა დაკმაყოფილდეს.

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 63-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "კულტურული მემკვიდრეობის შესახებ" საქართველოს კანონის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის #4-13 გადაწყვეტილების თანახმად

ვბრძანებ

1. შევიდეს ცვლილება ქ. თბილისის მერიის სსიპ ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2012 წლის 15 მარტის N01/622 ბრძანებასა და N6/632-1 მშენებლობის სანებართვო მოწმობაში, კერძოდ, "ნებართვა ძალაშია 2014 წლის 22 ივლისის ჩათვლით", შეიცვალოს "ნებართვა ძალაშია 2015 წლის 25 მარტის ჩათვლით";

2. წინამდებარე ბრძანება განხილულ იქნეს ქ. თბილისის მერიის სსიპ ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2012 წლის 15 მარტის N01/622 ბრძანებასა და N6/632-1 მშენებლობის სანებართვო მოწმობასთან ერთად.

• აღნიშნულის შესახებ დადგენილი წესით ეცნობოს დაინტერესებულ მხარეებს და ქ. თბილისის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურს.
• ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მერიაში (მისამართი - ქალაქი თბილისი, ჟ. შარტავას ქ. #7), დაინტერესებულ მხარეთათვის ოფიციალური წესით გაცნობიდან ან გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში.